

ღირსი ნექტარიოს ოპტინელი: მეტი მსოფლიო კრება აღარ იქნება

ჩვენს წიგნში „VIII მსოფლიო კრება - ავაზაკთა და განდგომილების კრება. . .“ თბილისი, 2010წ. (იხ. ჩვენს საიტზე:

http://www.peace.ge/pdf/Papisa_da_BarTlomes_antimarTlmadidebluri_qmedebani.pdf),

აღვნიშნავდით, რომ ის კრება, რომლის მოსამზადებლადაც ასე გულმოდგინედ იღწვის პატრიარქი ბართლომე, იქნება ავაზაკთა და განდგომილების კრება. ის საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში არიან შეტანილნი, არ განეკუთვნება მსოფლიო კრებათა კომპეტენციას. ამ კრების მიზანია განმახლებლური რეფორმის გატარება ეკლესიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესუსტების, ეკლესიის დანაწევრებისა და განხეთქილებების შემოტანის მიზნით. ამავე წიგნში მოვიყვანეთ მართლმადიდებელი თეოლოგებისა და სხვა კომპეტენტური სასულიერო თუ საერო პირების მოსაზრებები, წერილები და ნაშრომები ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

დამატებით გთავაზობთ ზოგიერთი წმიდა მამის გამონათქვამს ხსენებულ ცრუ-კრებასთან დაკავშირებით. საუბარი კი იმით გვინდა დავიწყოთ, რომ ერთ-ერთი ცრუ კრება, რომელიც წინ უსწრებდა მე-7 მსოფლიო კრებას, ეკლესიის მიერ შერაცხულ იქნა „ავაზაკთა კრებად“ (იხ. მე-7 მსოფლიო კრების მამათა ხსენების დღის მსახურება, ცისკრის კანონი, მე-6 გალობა, ღმრთისმსობლისა). ასე, რომ არა ყოველი კრება, მიუხედავად მაში მონაწილე ეპისკოპოსების რაოდენობისა, არის და იქნება მსოფლიო კრება. მსოფლიო კრებას აქვს თავისი კომპეტენცია, მოწვევის წესი. ასეთი იყო 7 მსოფლიო კრება, და ეკლესია სხვა კრებებს არა ცნობს და ასწავლის, რომ მეტი მსოფლიო კრება აღარ იქნება.

წინასწარმეტყველებაში საუბარია დიდ კრებაზე, ე.წ. „მერვე მსოფლიო“ კრებაზე, რომელსაც ეკლესიის მამები ასევე უწოდებენ ერეტიკულს (მწვალებლურს, ეკუმენისტურს).



ის, რომ შვიდ მსოფლიო კრებაზე მეტი მსოფლიო კრება აღარ იქნება, ამის შესახებ საუბრობდა ღირსი ნექტარიოს ოპტინელი (ტიხონოვი, † 29 აპრილი 1928). კითხვაზე, „გაერთიანდებიან თუ არა ეკლესიები“, მან უპასუხა: „არა, ამის გაკეთება მხოლოდ მსოფლიო კრებას შეეძლებოდა, მაგრამ ასეთი კრება აღარ იქნება. იყო შვიდი კრება, როგორც შვიდი საიდუმლო, წულიწმიდის შვიდი ნიჭი. ჩვენი ჟამისათვის რიცხვის სისავსეა შვიდი. მომავალი

ჟამისათვის (მეორედ მოსვლის შემდეგ-მთ.) რიცხვის სისავსეა რვა. ჩვენს ეკლესიას (მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას-მთ.) მხოლოდ ცალკეული პირები შეუერთდებიან“.



ღირსი კუკშა (ველიჩკო): „უკანასკნელი ჟამი დგება. მალე ეკუმენისტური კრება იქნება, სახელწოდებით „წმიდა“. მაგრამ ეს იქნება სწორედ ის „მერვე კრება“, რომელიც უღმერთოთა თავყრილობა იქნება. მასზე ყველა სარწმუნოებები ერთში შეიკრიბება. შემდეგ გაუქმდება მარხვები, მონაზვნობა მთლიანად განადგურდება, ეპისკოპოსები ცოლიანები იქნებიან. ახალსტილური კალენდარი შემოტანილი იქნება

მსოფლიო ეკლესიაში. იფხიზლეთ. ეცადეთ, იაროთ ღმრთის ტაძრებში, სანამ ჯერ კიდევ ისინი ჩვენი არიან. მალე იქაც აღარ იქნება შაძლებელი სიარული, ყველაფერი შეიცვლება. მხოლოდ რჩეულნი დაინახავენ ამას. ადამიანებს აიძულებენ ტაძარში სიარულს, მაგრამ ჩვენ იქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიაროთ. გევედრებით, იდექით მტკიცედ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში თქვენი ცხოვრების ბოლომდე და გადარჩებით!“.

საინტერესოა, რომ იმ კრებაზე, რომელსაც მსოფლიო ეკუმენიტი (ძნელია მას პატრიარქი უწოდო) ბართლომე ამზადებს, დღის წესრიგში ის საკითხებიც არის შეტანილი, რომელის შესახებაც ღირსი მამა საუბრობს იხ. ჩვენი დასახელებული წიგნი).

არქიეპისკოპოსი თეოფანე პოლტაველი:



„შემიძლია მხოლოდ წმ. თეოდორე სტუდიელის სიტყვები ვთქვა: „ეპისკოპოსთა არა ყოველი შეკრება არის კრება, არამედ მხოლოდ იმ ეპისკოპოსთა შეკრებაა კრება, რომლებიც ჭეშმარიტებაში ჰგებენ“. ჭეშმარიტად მსოფლიო კრება განისაზღვრება არა მხოლოდ მასზე შეკრებილი ეპისკოპოსების რაოდენობით, არამედ იმით, რომ ასწავლიდეს და ბრძნობდეს მართლმადიდებლურად. მაგრამ თუკი

რაიმე შეკრება გადაუხვევს ჭეშმარიტებიდან, ის აღარ იქნება მსოფლიო კრება, მიუხედავ იმისა, უწოდებს იგი თავის თავს მსოფლიო კრებას თუ არა. ცნობილი „ავაზაკთა“ კრება თავის დროზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე ზოგიერთი მსოფლიო კრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის არ იქნა მიჩნეული მსოფლიო კრებად, არამედ მიიღო „ავაზაკთა კრების“ სახელი. . .“. (მაშვიდე მსოფლიო კრების მამათა ხსენების დღის მსახურება, ცისკრის კანონი, მე-6 გალობის ღმრთისმშობლისა).